

პარსონა

დღეს გვიჩვენებელი
აღმასრულებელი
ხელისუფლება გვყავს

საქართველოში პოლიტიკური
მოვლენები კიდევ რამდენიმე დღე
მინც იქნება გაყინული ბევრი
ახალი წლის და ქართული
ტრადიციების გამო. თუმცა,
გუშინ ერთმა ინფორმაციამ და
არცთუ შემთხვევით, მინც
გამოიყონა. ბატონი ნიკო ლეკვილი
„ახლებთან“ ოფიციალურ
გადაბარგებას აპირებს...

B1

პოლიტიკა

აფხაზეთის საკითხმა
წინა პლანზე
„გაბმირადა“
გადმოიწია

საქართველოს ხელისუფლებას
აფხაზეთის პრობლემა წელიწადში
ორჯერ ახსენდება: კონფლიქტის
ზონაში განლაგებული რუსი
სამშვიდობოების მანდატის
გაგრძელების ვადის მოახლოებისას
და გაერო-ს უშიშროების საბჭოს
მიერ მორიგი რეზოლუციის
მიღების წინ.

A2

უცხოეთი

ბერმანია პრეზიდენტი
წინააღმდეგ არ
იღობას

ალანშინაგია, რომ ერეყში ომის
დაწყების წინააღმდეგ არა მხოლოდ
რუსეთის, ჩინეთის და ახლო
აღმოსავლეთის პოლიტიკური და
საზოგადოებრივი წრეები
გამოდიან, არამედ ვაშინგტონის
კრიტიკა ყველაზე მწვავედ
ვერობაში ისმის.

A4

ეკონომიკა

ავარია გასადაწვა
აირის მოწოდებას
არ შეაფარებას

გუშინ, დღის 4 საათზე, სოფელ
ლარის მახლობლად, საქართველო-
რუსეთის საზღვართან (რუსეთის
ტერიტორიაზე) 1200 მილიმეტრის
მაგისტრალური გაზსადენი
დაზიანდა. მილის 2 სანტიმეტრის
სისქის კედელი ჩამოიშალა
მეწყერმა დაზიანდა.

A6

სამართალი

გვალეობათა
რაოდენობა
ქაბასტროფულად
მატალუბს

მიმდინარე წელი სულ ორი კვირაა,
რაც დაიწყო, საქართველოში უკვე
ცხრა მკვლელობა მოხდა.

A7

ანიანი

თბილისი	5	☀
ქუთაისი	5	☀
ბათუმი	7	☀
სოხუმი	4	☀
ფოთი	5	☀
თალავი	4	☀
ზუგდიდი	4	☀
გორი	1	☁
ახმეტა	3	☀
ქიათურა	2	☀
ბაბრა	4	☀
სამტრადია	5	☀

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1800
ევრო	2.3080
გირვანქა სტერლინგი	3.5343
რუბლი	0.0691

ორივე წინააღმდეგია ხუთპირიანი დროშისა და ორივეს გვარი „შ“-ზე იწყება...

სააკაშვილის აზრით, ეს აქვთ საერთო შევარდნაძეს და შარაძეს



მიხეილ სააკაშვილს მხარს უჭერს მიხეილ საკრებულო.

სერიული დროშების თემაზე მიხეილ
საკაშვილმა კვლავ განაახლა,
გუშინდელ პრესკონფერენციაზე
მან პრეზიდენტ შევარდნაძეს და
პარლამენტარ შარაძეს შორის
ერთგვარი პარალელი გაავლო: **„მათ
ორი რამ აქვთ საერთო, ორივე
წინააღმდეგია ხუთპირიანი დროშისა
და ორივეს გვარი „შ“-ზე იწყება...“**

ვერიკო თავაძე

საკრებულოს თავმჯდომარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება შევარდნაძის პოზიციას ახალი გავრთიებული კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც სახელმწიფო დროშისთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

„გასაყიდად მთლიანად საქართველოა გამოტანილი..“

„დღეს რუსეთი საქართველოს
მიმართ ტრადიციულ
„ველიკოდერჟავულ“ პოლიტიკას
ახორციელებს, რაც ქვეყნის
სტრატეგიული მნიშვნელობის
დარღვევაზე - ენერგეტიკასა და
კომუნიკაციებზე - კონტროლის
მოპოვებას გულისხმობს“, - მიანია
ასოციაცია „ნავკოს“ პრეზიდენტს
გია ხუბაშვილს. იგი საქართველოს
ბუნებრივი აირის,
ელექტროენერჯის,
ნავთობპროდუქტებისა და
ტელეკომუნიკაციების ბაზარზე
მიმდინარე პროცესებს აქ მოქმედ
კომპანიებში რუსული კაპიტალის
შემოსვლის მცდელობად მიიჩნევს,
რაც ხელისუფლების ხელშეწყობით
ხორციელდება.

გვანცა კვიციანი

„ცალკეული ობიექტები კი არა,
გასაყიდად მთლიანად საქართველო
გამოტანილი და ჩვენი ხელი-
სუფლება პირდაპირი მიყიდვის წესით
გვეგვამს მის გადაცემას რუსეთისთვის“, - აცხადებს ხუბაშვილი.
მისი თქმით, ამერიკული „ეი-ი-ესის“
შევიწროება „თელასის“ რუსული
PAO ზეცისთვის გადაცემის მზადებას
ემსახურება, რისი გეგმაც უკვე
შემუშავებულია. მისი ინფორმაციით,
რუსულ კომპანიათა ინტერესების
გამოკვეთის ფონზე ნავთობპროდუქტების
ბაზარზე მიზანმიმართულად

გაბრძობა A6 გვარდვა

მაღალჩინოსნების იკარგებია

ხათუნა ჯანგირაშვილი

ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი
ხუთი დღის წინ დაკარგული მაღალ-
ჩინოსნის - საზღვრის დაცვის სახელ-
მწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-
სამეურნეო სამმართველოს
უფროსის ლევან ტაბაღაშვილის შესახებ.
10 იანვრის შემდეგ ტაბაღაშვილი
არავის უნახავს. მისი მობილური
ტელეფონი, დღემდე გამოართულია.
ტაბაღაშვილის ოჯახს აქამდე არც თა-
ვად გაუჩინარებული დაკავშირება
და არც ვინმე სხვა. სამართალდამც-
ველები აცხადებდნენ, რომ ისიც არ
იციან, ვინ ნახა უკანასკნელად სამ-

მართველოს უფროსი, „ჯერ სწორედ
ამ ადამიანების წრეს ვადგენ“, -
ასეთია სამართალდამცველთა გუ-
შინდელი კომენტარი, რომელ-
თაც ტაბაღაშვილის ოჯახის წევრებმა
დახმარების სათხოვნელად ოფიცია-
ლურად სამი დღის წინ მიმართეს.
დაკარგულის ადგილ-სამყოფელის
ძებნაში ჩართულმა ვაკე-საბურთა-
ლოს რაიონულმა პოლიციამ, მოკე-
ლევ ტაბაღაშვილის ოჯახის წევრთა და-
კითხვით, მათთვის ჩამორთმეული
ახსნა-განმარტებებითა და განცხა-
დებებით დაასრულა და მასალები
ამავე რაიონის პროკურატურას


გაბრძობა A7 გვარდვა

„საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქმა ყოველგვარი მიკიბ-
მოკიბვის გარეშე მხარი დაუჭირა
ხუთჯვრიან დროშას და განაცხადა,
რომ ის არის ფუნდამენტური ქრის-
ტიანული და ქართული ღირებულე-
ბების მატარებელი. ამის შემდეგ,
საქართველოს კანცელარიის დაკ-
ვეთით, პირდაპირ ეხსიან თავს სა-
ქართველოს კათალიკოს-პატრი-
არქს და ქართულ მართლმადიდებ-
ლურ ეკლესიას, აღარაფერს ვამბობ
საკრებულოსა და მის თავმჯდომარე-
ზე... ეს არის მცდელობა იმისა,
რომ რელიგიური უმცირესობები
დაუპირისპირონ საქართველოს

გაბრძობა A2 გვარდვა

საქართველოს მომავალი საბალო ფენა ბრიტანულ პოპულარულ ცეკვას

B7



ქველთი ახალი წელი აჭარა-მუხიკ-პოლში

რატომ დაკარგა ფასი სამხედრო წოდება, ჭილდო და დროშა

კობა ლიკლიძე

„რადიო თავისუფლება“
საპროდუქტორი „24 საათისთვის“.

გასულ კვირას საქართველოს
პრეზიდენტმა ეროვნული გმირის
წოდების შემოღების იდეა გაიხსენა.
რასაკვირველია, დამოუკიდებელ
ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი
სახელმწიფო ჯილდოები და
საქართველოშიც უდავოდ ბევრი
ადამიანის ღვაწლი იმსახურებს
განსაკუთრებულ აღნიშვნას. მაგრამ
არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ
წლების განმავლობაში სწორედ
უმალესი სახელმწიფო
მოხელეების თვალწინ და მათივე
ხელშეწყობით დებოდა
განუკითხავი დეველაცია იმ
სიმბოლოებისა, რომლებიც სწორედ
იმისთვის არიან მოწოდებული,
რომ განუტყველონ ადამიანს
უმალესი იდელებისადმი
სწრაფვა.

დამოუკიდებელი საქართველოს
ისტორიაში დიდი ქართველი მეფის
ვახტანგ გორგასლის სახელობის
პირველი ხარისხის ორდენის ერთ-
ერთი პირველი კავალრები „მხედრი-
ონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი და
თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენ-
გიზ კიტოვანი გახდნენ. მაგრამ ორი-
ოღვე თვეში გმირები მტრებად გა-
მოცხადდნენ და სხვადასხვა ბრალ-
დებით ციხეში აღმოჩნდნენ.

აი, როგორ იხსენებს ჯაბა იოსელიანი
ციხეში დაწერილ რომანში „სამი გან-
ზომილება“ დაჯილდოების ეპიზოდს.
„შევარდნაძეს ჩამოუტანეს ორ-
დენები. უნდა, რომ ხვალ სადღე-
სასწაულო ვითარებაში გადმო-
ცეს ვახტანგ გორგასლის პირველი
ხარისხის ორდენი და სათანადო
მასალა გაუშვან ტელევიზიით. ვი-
ცინი. „ნუ იცინით, ეს საჭიროა.

გაბრძობა A2 გვარდვა

რატომ საყვადურობს პრეზიდენტი პარლამენტს

თამარ ხორბალაძე

„უღმერთოდ ბევრ დროს ხარ-
ჯავს პარლამენტი ისეთი საკითხე-
ბის განხილვაზე, რაც განსახილვე-
ლი საერთოდ არ არის“, - განაცხადა
გასულ ოთხშაბათს საქართველოს
პრეზიდენტმა და ამით საგანგებოდ
გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართვე-
ლოს პარლამენტი საკანონმდებლო
საკანონობისთვის ვერ ათმუფს. ორ-
შაბათს კი საქართველოს პრეზიდენ-
ტმა პარლამენტის გასული წლის მუ-
შაობა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა -
დადებითად შეაფასა.

თუმცა, ორშაბათის განცხადებამ
აშკარად ვერ შეცვალა ის კურსი,
რაც აღმასრულებელმა ხელისუფ-
ლებამ გასულ წელს აიღო და რასაც
საქართველოს პარლამენტის დისკ-
რედიტაციის მიზანმიმართული
მცდელობა ჰქვია.

პარლამენტის წინააღმდეგ ნარ-
მოებული საინფორმაციო კამპანიის
პოლიტიკური მოტივების მიუხედა-
ვად, ფაქტია, რომ „გაჭიანურებულ“
კანონმდებელთა გასული წლის შე-
მოღობაზე ჩატარებული „ინვენტარ-
იზაციის“ შედეგების თანახმად, სა-
ქართველოს პარლამენტს მხოლოდ
პრეზიდენტის მიერ ინიცირებული
კანონმდებლობებიდან 77 ჰქონდა გა-
ნუხილველი. წლის ბოლოსთვის სი-
ტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა,
თუმცა - არა მნიშვნელოვნად.

პარლამენტში შესული კანონბრო-
ექტები შესაბამისი კომიტეტების
პატრონის ქვეშ არიან. პარტიულ-
ფრაქციული ძალთა ბალანსი კომი-
ტეტებში ასეთია: დღეს პარლამენტში

გაბრძობა A3 გვარდვა

იყავით სანახევარი! და მოიგეთ მრავალი ჰრიზი ჯიოსადთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას:
ავტომობილი ნივა, VESTEL-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და DVD სისტემის
მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* SAMSUNG-ისა და NOKIA-ს ტელეფონე-
ბი, ელ-გეხერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.


ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- ☉ იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- ☉ უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

საქართველოში ჯეოსელმა პირველმა შესთავაზა აბონენტებს SMS- მოკლე შეტყობინების მომსახურება?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს
("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიხსნეთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარიტ:

- ☉ კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- ☉ არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ნივა

ჭეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 56 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, გარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
 ბათუმი: გამსახურდიას 47, ურას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
 **ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

საანადნო ფანჯარა ჯიოსადში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
 თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
 იხქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

ნომრის პარსონა

დღეს შეხიზებული აღმასრულებელი ხელისუფლება გვყავს

საქართველოში პოლიტიკური მოვლენები კიდევ რამდენიმე დღე მანძი იქნება გაყინული ბევრი ახალი წლის და ქართული ტრადიციების გამო. თუმცა, გუშინ ერთმა ინფორმაციამ და არცთუ შემთხვევით, მანძი გამოჟონა. ბატონი ნიკო ლეკიშვილი "ახლებთან" ოფიციალურ გადაბარებას აპირებს... ეს მეგობრობა საახალწლო სუფრეებზე ნამდვილად არ დაწყებულია და თავის დროზე სწორედ ბატონი ნიკოს კაბინეტში გადაწყდა ახალგაზრდა, წარმატებული ბიზნესმენების პოლიტიკაში მოყვანის იდეა. ბატონი ნიკო დღეს არ აკონკრეტებს, რა იქნება და როგორ. ამისთვის ის სერიოზულ ბრიფინგს და სერიოზულ განცხადებებს აპირებს. ვნახავთ, რა აბრევიატურა იქნება მის ზურგს უკან - "გადამხდელთა კავშირის", "ახლების" თუ "საქართველოს პარლამენტის" - ანუ, საიდან დაუპირისპირდება ის პრეზიდენტს. ეს მას აუცილებლად მოუწევს თუ ამ ახალგაზრდა, წარმატებული, მაგრამ "შებენი" პოლიტიკოსებისგან არაერთხელ მოტყუებულ ბიზნესმენებს შეუერთდება.

მანა ჭალაბანიძე

როგორი ახალი წელი გეკონდა?

- მიიშვე... ბევრი სუფრები და დიდი ამბები იყო. ყველა ახალი წელი, ერთის გამოკლებით (როცა 31 დეკემბერს ბიძა გარდაამეცვალა) - კარგად მახსოვს.

ერთხელ, როცა რესტორნების ტრადიცია არ იყო და ოჯახებში, საკონცერტო პროგრამებით ვზეიმობდით ახალ წელს, დღის 6 საათზე მეგობრებთან ერთად სახლებში ვბრუნდებოდით. გმართა მოედანზე დიდი რეიდი შეგვეხვდა. შევედით ამ რეიდში და ვუთხარით, რომ ზედმეტად ნასვამები ვიყავით და 200 მანეთის მიცემა შეგვეძლო თავის დასახსნელად... რას ამბობთო, გაპროტესტებს იმით - 500 მანეთიც ვარ ეყოფა ამ ამბავსო... დავიწყეთ ვაჭრობა. ბოლოს კი გამოვუტყდი, რომ მანქანით კი არა, ფეხით ვიყავით... ბევრი ვიცინეთ და ხაშხაშეც მილიციასთან ერთად წავიდით...

ჩვენს მოსახლეობას კი ვეტყვი, რომ პოლიტიკურადაც და ისეც, ძალზე დაბალხარისხიანი წელი იყო. მათ მაგრად დადგომას და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ვუსურვებ.

რაც უნდა საახალწლო და მსუბუქი თემები ვარჩიოთ სასაუბროდ, მანძი მძიმე კვირა გელით პარლამენტში...

- კი... ალბათ, ბიუჯეტი გავა.

როგორც ვიცით, სამშობლო წელიწადი 200 მილიონი გაიზარდა. საიდან, რის ხარჯზე?

- უნდა გითხრათ, რომ შესაძლებლობები იმისა, რომ ბიუჯეტი 200 და მეტი მილიონითაც გაიზარდოს, ნამდვილად არის. ჩვენ არ გვაქვს სრულად მოცული ფინანსური ბაზა, ჩრდილოეთი ეკონომიკის მაღალი პროცენტია, გადასახადების ამოღების პროცენტები კი - საკმაოდ დაბალია გარიგებებისა და კორუფციის გამო; საზღვრები და უცვლელია და ა.შ. ეს ზრდა კი, თავისთავად, ცუდი არ არის.

არის თუ არა დღეს რეალურად შესაძლებელი საარსებო მინიმუმი და სახელფასო მინიმუმების გათანაბრება...

- თუ ყველა რეზერვი ამოქმედდა, ეს რეალურია, მაგრამ არ ვართ გარანტირებული, რომ ეს ბიუჯეტი 200 მილიონიანი მატებით ნამდვილად შესრულდება. მეორე შემთხვევითი მომენტია ის, რომ სახელმწიფოს ხელფასებისა და პენსიების საკმაოდ დიდი ვალი აქვს. ამგვარ ვითარებაში ეს მოთხოვნა ცოტა შეუსაბამოა. მე ასეთი გზით წავიდეთ - უნდა შემუშავდეს ორნომიანი პროგრამა, რომლის განმავლობაშიც გავისტუმრებთ ვალებს და პარალელურად ვიმუშავებთ მომატებაზე.

თქვენს სახელმწიფო მინისტრობის დროსთან თუ შევადარებთ...

- ჩრდილოეთი ეკონომიკის პროცენტი მაშინ ნაკლები იყო. იმ დროს (1996, 1997, 1998 წლების დასაწყისში) საქართველოში ეკონომიკა მანძი განვითარებული იყო. ეს ბევრ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული - იყო წესრიგი, კრიმინოგენული ვითარება არ იყო ასე დაძაბული, არ არსებობდა პანკისი... ჩვენ შეცდომა მაშინ დავუშვით, როცა საგადასახადო და საბაჟო სამსახურები გაიყო, როცა შემცირდა ადმინისტრირება.

რეზული - იყო წესრიგი, კრიმინოგენული ვითარება არ იყო ასე დაძაბული, არ არსებობდა პანკისი... ჩვენ შეცდომა მაშინ დავუშვით, როცა საგადასახადო და საბაჟო სამსახურები გაიყო, როცა შემცირდა ადმინისტრირება.

როგორ გონიათ, რა გაუმჯობესებას გადასახადების ამოღებას - მკაცრი ადმინისტრირება თუ საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, ისე, როგორც ეს ესტონეთში მოხდა...

- ლიბერალიზაცია პანაცეა არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან ყოველ წელსადაც ყველაზე დიდი შემადგენელი კონტრაბანდის ზრდა, ფალსიფიკაცია და ჩრდილო მიმართული ორგანიზაციები გახლავთ. დღეს ნორმალურად მომუშავე კომპანიები, ისინი, ვინც გადასახადებს იხდიან, ცუდ პირობებში იმყოფებიან. ნორმალურ კომპანიებსა და ფალსიფიკატორებს, კონტრაბანდისტებს შორის დიდი ნითელი ხაზია გავლბული. გადახდელთა კავშირმა, რა თქმა უნდა, მრავალჯერ მიანდა საკუთარი შეხედულებები მთავრობას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გათვალისწინეს. ალბათ იმიტომ, რომ ჩრდილოეთი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ სიმკაცრესა და დაპირისპირებებს მოითხოვს.

ხომ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ გადავიტანოთ ეს დაპირისპირება?

- ჩვენ არაფერი გეჭირდა გადასახადები. მშვენივრად განვითარებული ეკონომიკა გეკონდა, რომელიც თავად დაეანგრეთ სხვადასხვაგვარი ექსპერიმენტებითა და რეფორმებით. საგადასახადო კოდექსის ამგვარი მიღება გაუგებარი იყო. ბევრი რამ ვერ გათვალეს. ამ კოდექსმა ადგილობრივი წარმოება რთულ მდგომარეობაში ჩააყენა - პრივილეგირებული გახდა იმპორტი და ხელსაყრელი გახდა კონტრაბანდზე მუშაობა. ეს ჩვენზეც კანონმდებლობით დავაკანონეთ.


მაგრამ, თქვენ სწორედ კანონმდებელი ხართ...

- ამ კოდექსისა და კიდევ ბევრი სხვა კანონის მიღებისას, პირდაპირ გადმოვიღეთ ცივილიზებული ევროპული კანონმდებლობა, რომელიც სულაც არ ითვალისწინებდა დიდი რაოდენობის რეკომენდაციებს და უკონტროლო საზღვრებს... ჩვენ ზედმეტად ვენდეთ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. ეს შეცდომა იყო. გახსოვთ, ალბათ, თავად ბალცეროვიჩმა აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო. დღეს კი იმდენად პოლიტიზირებულია ჩვენი ცხოვრება, რომ ეკონომიკური შეცდომების გამოსასწორებლად აღარაფერს ცალია.

ჩემი აზრით, განსახორციელებელი ძალზე სერიოზული სახელისუფლო რეფორმა.

მინისტრთა კაბინეტს გულისხმობთ?

- სხვათა შორის, უფრო მეტს. ეს მოითხოვს საპარლამენტო სტრუქტურის ცვლას - ორპალატიანი პარლამენტის შემოღებას მარტივი თანამის წესებით. დღეს ჩვენთან რთული თანამის წესებია განუსაზღვრელი კონტროლის ფუნქციებით და ა.შ.



ნიკო ლეკიშვილი

თქვენ გაინაფეთ ამ თამაშებში?

- უბრალოდ, ვაკვირდები და ვხედავ, რა სჯობს, რომ გაკეთდეს. უნდა შემოვიღოთ მობილური, პატარა მინისტრთა კაბინეტი და სრულიად ახლებური საპრეზიდენტო ხელისუფლება. დაახლოებით ისეთი, როგორც ისრაელიშია.

სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან თქვენ თავად გადადგებით. შეგავსენით, თუ შეიძლება, მაშინაც არ შესრულდება ბიუჯეტი?

- ჩემს დროს ძალიან კარგადაც სრულდებოდა და ბევრად მეტი იყო საშემოსავლო ნაწილი. მაშინაც იყო დიდი პრობლემები და ჩემი გადადგომის მიზეზების შესახებაც არსებობს გამოსვლები... პრინციპში, მაშინ დღევანდელი ვითარება გავთვალე. საერთოდ, ნიჭი მარტო მოსვლას არ უნდა. ნიჭი იმას უნდა, როდის წახვიდე... ეს იყო ჩვეულებრივი, პრაგმატული ნაბიჯი. მაშინ დაინყო სწორედ ეკონომიკის პოლიტიზირება. დღეს ეკონომიკა არა სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც მომგებიანია ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისთვის. აი, ეს პროცესები დაინყო. მაშინ არსებული სტრუქტურა ამა ვერ მოერეოდა და ვერც ახლა ერევა. დღეს ჩვენ მივიღეთ ტოტალური აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირების პროცესი... არასტაბილური ვითარების დროს აღმასრულებელი ხელისუფლება იძულებულია, მეზამრიდის როლი მოიხრას და მორევენებითი ნაბიჯები გადადგას...

დღეს რომ სახელმწიფო მინისტრი იყოთ, როგორ მოიქცევდით?

- არ ვარ და რა გითხრათ? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ განსახორციელებელია ის, რაც ვთქვი. ვითარებას ის ართულებს, რომ ეს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა საც ვხედავ. ვერ წარმოუდგენიათ სხვაგვარი, ნაკლები ძალაუფლების მქონე საპრეზიდენტო ინსტიტუტი. თუ ის მოხდა, რაც ვთქვი, პასუხისმგებლობა გადანაწილდება და მოსახლეობაც ნაკლებად დაიჯერებს ტყუილს, დაპირებებსა და პოპულიზმს.

განონათ, რომ მოსახლეობას კიდევ რაიმეს სჯერა?

- დიახ, სჯერა... სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ყველა შედეგისთვის იმუშავებს. დღეს შეიძლება იყო მინისტრი, არ გეკონდეს არანაირი შედეგი, მაგრამ მაინც კარგ ანგარიშზე იყო - მოსწონდებოდა რომელიმე პოლიტიკური ძალას, ან პრეზიდენტს, და იქნებოდა იქნებოდა.

პირდაპირ უნდა ვთქვა: დღეს გვეყავს შემინებული აღმასრულებელი ხელისუფლება. მას ეშინია ნებისმიერი გადაწყვეტილების, ნებისმიერი რისკის და მისი პოლიტიკის.

კა - "ოღონდ არ იყოს ბუნტი"...

მაგრამ, ეს შეშინებული აღმასრულებელი ხელისუფლება ბოლო ხანს უხეშად ერევა პარლამენტის ცხოვრებაში...

- ეს მას საპარლამენტო ხელისუფლებამ აიძულა... მას არ აქვს საშუალება, თავისი გადაწყვეტილებების სიმართლე დაამტკიცოს და იძულებულია, ნებისმიერი ხერხით შეეცადოს მომხრეები. აღარ არსებობს ერთიანი გუნდი. ადრე, უმრავლესობისა და "მოქალაქეთა კავშირის" დროსაც არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლება ამ პოლიტიკური ძალის დასაყრდენი. მაშინ, "მოქალაქეთა კავშირში" ვაქედით იმას, ვინც ჩვენი იყო და არ ვაქედით მას, ვინც ჩვენი არ იყო - სხვა მიდგომა არ არსებობდა. თავის მხრივ კი ეს არსებულმა სახელისუფლებო სტრუქტურამ მოიტანა. პრეზიდენტიც, ზოგ შემთხვევაში, იძულებულია ერთგულების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილებები.

თქვენ თბილისის მერიც იყავით. როგორ გონიათ, რამ აქცია მერია ასე აქტიურ პოლიტიკურ ცენტრად?

- საქართველოში არსებობს რამე, რაც პოლიტიზირებული არ არის? მე მგონი, საკრებულო უფრო ცენტრი, ვიდრე მერია. ნორმალურ ქვეყანაში მერია, უბრალოდ, ხალხს ემსახურება.

ჩვენ შეცდომები დავუშვით სა-

კადრო საკითხებშიც. თანამდებობებზე ინიშნებოდნენ არა პროფესიული, არამედ პოლიტიკური სიმბატიების მიხედვით.

მერიაზე ამბობთ?

- სადაც გნებავთ. თუნდაც, თავის დროზე - ფინანსთა სამინისტროში, თუნდაც ის, რომ რვა წელიწადი, ენერგეტიკის მინისტრი ენერგეტიკოსი არ ყოფილა... როგორც მაგარი ფეხბურთელია, მაგრამ, ის მაგარი კალათბურთელი ვერ იქნება. ან - მაიკლ ჯორდანის რომ მაღრიდის "რეალში" ვათამაშოთ, გამოუვა რამე? ასეთივე ვითარებაა ადგილობრივ ხელისუფლებაში. ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას აუცილებლად უნდა ჰყავდეს პროფესიონალები. თუ ეს ასე არ არის, მაშინ პოლიტიკური ძალა იქცევა ხალხის ჯგუფად, რომელსაც ქვეყნის მართვა არ შეუძლია.

თქვენი მერობისას მოსახლეობა შიშით არ ელოდა ყოველი თვის 15 რიცხვს. ვისი იყო "თბილგაზი"?

- როცა მერი ვიყავი, საერთოდ შეწყვეტილი იყო თბილისისთვის გაზის მიწოდება. პურის ქარხნებიც კი მათზე მუშაობდნენ. მაშინ მერიას არ ექვემდებარებოდა არც "თბილგაზი", არც "თელასი" და არც მეტროპოლიტენი. არსებობდა გაზის დეპარტამენტი, რომელიც გაუქმდა და შექმნა კერძო სტრუქტურა "საქგაზი"... მიმანია, რომ რაც თბილისშია, ყველაფერი მერიას უნდა ეხებოდეს. ნიუ-იორკის ელექტროენერჯით ფირმა "ედისონი" ამარაგებს, პარიზს "ბიუიკი"... როგორ გონიათ, ამ ქალაქების მერი ან საკრებულო ოდესმე გამოვა და იტყვის, რომ ეს მისი საქმე არ არის? ასე დაუბრალოდ არ შეიძლება. ეს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების უკანასკნელ წლებში გამოყენებული ცუდი ტრადიციაა.

მერიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, რომელსაც გადაინაცვლება უფრო შეიძლება დავარქვათ. რას მოუტანს ეს ქალაქს საერთოდ, რა თვისებები უნდა გააჩნდეს ქალაქის ხელმძღვანელობაში მოსულ ჩინოვიკს?

- კარგად ვიცნობ ვეროპის მუნიციპალურ სტრუქტურებს. იქ პროფესიონალებს ასე იოლად ვერ ელევინდ და ბევრჯერ ყოფილა, რომ ახალ მერს ყველა პროფესიონალი უცვლელად დაუტოვებია თანამდებობაზე. ქალაქის ხელისუფლება, სამუშაო საქმიანობის პოლიტიზირება არაფრით შეიძლება. სანიტარულ კოლექტორი რომ გაიჭედება, ამას პოლიტიკოსის კი არა, ინჟინრის ტექნიკური გადანაცვლებაც უნდა უზრუნველყოს და ხშირ შემთხვევაში, ეს გადანაცვლებაც წუთებშია მისაღები.

თუნდაც, მთავარი არქიტექტორი ავილოთ... ეს ისეთი თანამდებობაა, რაზეც მხოლოდ არქიტექტორობა საკმარისი არ არის. უნდა მიხედვს, რომ ისეთ კამერულ რაიონში, როგორცაა ვერა და ისტორიული უბნები - საერთოდ არ არის დასაშვები მაღალი კორპუსების მშენებლობა. კონცეპტუალურად უნდა ეს მოდეს, რა არის თბილისი.

როგორც ამბობენ, "ახლებში" გადადისარ...

- ამის თაობაზე სერიოზული ბრიფინგის ჩატარებას ვაპირებ და იქ ვიტყვი, რას ვაპირებ. შინაგანად მემარჯვენე ვარ და ისინი ჩემი მეგობრები არიან. განცხადების გაკეთებას უფრო სერიოზულ ვითარებაში ვგეგმავ.

იმიტომ კითხვით, რომ თუ ასე მოხდება, პრეზიდენტის ოპონიციამი მოვიწვევთ გადასვლა...

- ყველაფერი კარგად მოხერხდება... ვნახავ, თუ საჭირო იქნება, მსაფრდაც ვისაუბრებ. ამისი არ მემინია.



შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით.	პლანდი უფასოა.
სადასრულებლად მოგვანდა "რუსთავი 2"-ის არს. მალევე დაგვუბნეთ, გაცემოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი პირადი მონაწილეობა, დამატებითი გაცემები, მოტივაციური ან ანგარიშის შედეგით თქვენს მონაწილეობაში შოუს "ხალხის პირისპირ" ნაცვალს და პირდაპირ.	

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორის ქ. "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩებიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძმები

მისამართი:

შვილები: (თუ გააჩნიათ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საფუძვალ ადგილი

დამხმარე კატეგორია: (გთხოვთ კატეგორია, რომელიც აკრძალავს მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ" ან თქვენი ქვეყნის დედაქალაქში, ან 60-იანი წლების შესახებ, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააჩნიათ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისხარის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და რა დროს?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ მოგზაურობით საერთაშორისო ბარში და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვიდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საქონარ ბარებში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორი თქვენი საყვარელი მხარეა და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმი?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაც მოცდებოდა?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიწევიათ ან გაგიკავებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფო?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს უკავიათ ყველაზე მეტად და რატომ?

რა უნერის ფილმები მოგწონთ და რომელი თქვენი საყვარელი ფილმებია?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მითხარები? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, რომელი და რა ადგილებზე?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეძლებთ თუ არა სტატიის გათქმვა "შინაური ცხოველები" ან ასაინტერესო ბარათი ფოსტისთვის გაგზავნა?)


ყველაზე უხარსხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საფუძვალ თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცინ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

რონალდინო ტრავირია

“პარი სენ ჟერმენის” ბრაზილიელი ლეგიონერი, მსოფლიოს ჩემპიონი რონალდინო 25 იანვრამდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. სამშაბათს გუნდის მწვრთნელმა ლუი ფერნანდესმა განაცხადა, რომ ფეხბურთელს აბდომინური ტრავმა აქვს და ამის გამო ვერ ითამაშებს 25 იანვრამდე, მარსელის “ოლიმპიკთან” საფრანგეთის თასის მატჩამდე.

რონალდინომ ზამთრის არდადეგები გაატარა სამშობლოში, საიდანაც 5 დღის დაგვიანებით დაბრუნდა. ამის გამო მას 10-დღიანი ინ-

დივიდუალური ვარჯიშები დაუნიშნეს, ორშაბათის ვარჯიშზე კი ტკივილი იგრძნო მუცლის არეში.

ფერნანდესის თქმით, 22 წლის რონალდინოს 3-დღიანი დასვენება სჭირდება, შემდეგ კი ვარჯიშს განაახლებს.

“პარი სენ ჟერმენს” დიდი პრობლემები აქვს: რონალდინოს გარდა, ტრავმის გამო, მომდევნო მატჩში, “ლე პარიტან”, გუნდს დააკლდება კიდევ 3 ფეხბურთელი - კრისტობალი, მარტინი კარდელი და პაულო სეზარი.

აკა ტონია

გაზეთი “24 საათი” იუსტიციის, რომ ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანი რომარიო, შესაძლოა, თავის ყოფილ კლუბში - “ფლამენგოში” დაბრუნებულიყო. ამის შესახებ ბევრს საუბრობდნენ, ინფორმაციას მისი აგენტიც ადასტურებდა, თუმცა, უკანასკნელი ცნობით, ამ საქმეს ახდენა არ უწერია.

კვირას “ფლამენგოს” პრეზიდენტმა პელიო ფერაზმა განაცხადა, რომ მისი კლუბი აღარ აპირებს რომარიოს ტრანსფერის განხორციელებას.

რომარიომ, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონმა და პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა, სახელოვანი “ფლამენგოს” შემადგენლობაში 4 წელი გაატარა. 1999 წლის შემდეგ ის გადავიდა “ვასკო და გამაში”, კლუბში, რომელშიც 18 წლის წინათ დაინიშნა მისი შთამბეჭდავი კარიერა (“ვასკო და გამაში” გადასვლამდე რომარიო “ოლარიპოში” თამაშობდა).

“ვასკოში” რომარიო 2002 წლამდე დარჩა, რის შემდეგაც, გასული წლის ზაფხულში, “ფლუმინენსეში” გადაბარდა. “ფლუმინენსესთან” კონტრაქტი ამოიწურა და რომარიოც უგუნდოდ არის. იყო საუბარი “პარასილონაში” დაბრუნებაზეც, თუმცა, მხოლოდ მითქმა-მითქმის დონეზე. ყველაზე რეალურად “ფლამენგოში” გადასვლა ჩანდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს საქმეც ჩაიშალა.

რომარიოსა და “ფლამენგოს” გზები ისევ გაიყარა

36 წლის ვეტერანი თავის ყოფილ კლუბს არ დაუბრუნდება



რომარიო

პელიო ფერაზი ადასტურებს, რომ კლუბს, მართლაც, სურდა რომარიოს დაბრუნება, თუმცა, ამ გარიგების ჩაშლას ფეხბურთელის აგენტს აბრალებს. “ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ კონტრაქტი გაგვეფორმებინა, მაგრამ რომარიოს აგენტმა გაგვიხსენა ძველი ვა-

ლები, რომლებიც კარგა ხნის ანუ ღირებულნი. მე არ შემიძლია, საკუთარ შესაძლებლობებს გადავაჭარბებო. სწორედ ამიტომ ეს საქმე ჩაიშალა”, - აცხადებს ფერაზი. 1999 წელს რომარიო სწორედ იმით გამოვიდა “ფლამენგოდან”, რომ კლუბი მას ვარაუდობდა.

სკოლარი პროტესტების ჩაქრობა

ორშაბათს ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი ლისაბონში ჩავიდა. მომავალი კვირიდან პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგება. ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს სკოლარიმ ლისაბონის აეროპორტში მისცა ინტერვიუები, რომლებშიც განაცხადა, რომ იმედოვნებს, “პორტუგალიის ნაკრებს დიდ წარმატებას მოუტანს”.

იმის გამო, რომ პორტუგალიის

ნაკრები, როგორც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, ტურნირისთვის საკვალიფიკაციო მატჩებს არ სატარებს, სკოლარი იძულებული იქნება, გუნდი ამხანაგურ შეხვედრებში მოამზადოს. 54 წლის მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისი უპირველესი ამოცანა ამხანაგური მატჩების კალენდრის შედგენაა.

პორტუგალიის ნაკრები თავის პირველ ამხანაგურ მატჩს, 12 თებერვალს, იტალიის წინააღმდეგ გამართავს.

„მანჩესტერს“, კლოუსი შექმნა სურს

ცნობილია, რომ “კაიზერსლაუტერნის” და გერმანიის ნაკრების თავდასხმელის, მიროსლავ კლოუსის შექმნა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიუნხენის “ბაიერსს”. თუმცა, გერმანულ კლუბს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა ინგლისიდან: კლოუსს შექმნით “მანჩესტერ იუნაიტედს” დაინტერესდა.

ორშაბათს “მანჩესტერის” მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ “კაიზერსლაუტერნს” უკვე გაუგზავნა ოფიციალური წინადადება ფეხბურთელის შექმნის თაობაზე. კლოუსს სანაცვლოდ ინგლისელები 5 მილიონი ევ-

როს გაღებებს აპირებენ. თუ უკანასკნელი წლების მრავალმილიონიან ტრანსფერებს გადვებდავთ, ეს არცთუ ისე დიდი თანხაა.

“კაიზერსლაუტერნის” ხელმძღვანელობამ კარგა ხნის წინათ განაცხადა, რომ განიხილავს ყველა წინადადებას, რომლებიც კლოუსს შექმნას უკავშირდება, რადგან კლუბს ფინანსური კრიზისი აქვს და თავდადასხმელის გაყიდვა დიდად წაადგება.

მიროსლავ კლოუსი, ალბათ, დარჩება იმ გუნდს, რომელიც “კაიზერსლაუტერნს” ყველაზე სარფიან წინადადებას შესთავაზებს.

ჩინეთთან თავაბიისთვის ბრაზილიის ნაკრები 1,25 მილიონ დოლარს მიიღებს

პარიერასა და ზაგალოს დებიუტი გუანგდონში შედგება

აკა ტონია

გასულ კვირას ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების “ახალი” მწვრთნელი წარადგინა. “სელესაოს” დაუბრუნდა 1994 წლის ტრიუმფატორი კარლოს ალბერტო პარეირა, ხოლო მისი თანაშემწე კვლავინდებურად იქნება მსოფლიო ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი პაროვენება, მარიო ზაგალი. ამ ფაქტზე ბევრი დაინერა, მათ შორის - ჩვეს გაზეთშიც.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ პარიერას დებიუტი ახალ პოსტზე 12 თებერვალს, ჩინეთის ნაკრებთან მატჩში შედგებოდა. ეს ამხანაგური შეხვედრა ჯერ კიდევ მაშინ დაინიშნა, როცა “სელესაო” უმწვრთნელოდ იყო.

ის, თუ სად შედგება ეს მატჩი, მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ შეხვედრა ჰონგ-კონგში გაიმართებოდა, თუმცა, გეგმები შეიცვალა - მატჩს ჩინეთის სამხრეთით მდებარე პროვინცია, გუანგდონის დედაქალაქი გუანგჟუ უმასპინძლებს.

ჩინელთათვის ამ ამხანაგურ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს: მათ პირველად ეძლევათ საშუალება, საქმეში იხილონ ნაკრების ახალი მწვრთნელი, პოლანდიელი არი შაანი. ეჭვი არავის ეპარება, რომ გუანგდონის 80-ათასადგილიანი სტადიონი შეივსება - ჩინელებს ხომ უნიკალური შანსი აქვთ, საკუთარი თვალით იხილონ მსოფლიოს ჩემპიონი



არი შაანი

კრიზი


მაიკ ტაისონს მხოლოდ საკუთარი ცოლები ახარცხებენ

ბიბა ბარასაშვილი

კრივის ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში და ევანდერ პოლოფილის ყურების დამგვერთებელს, მაიკ ტაისონს, ვიდრე რინგზე გავა და მოწინააღმდეგეს თავ-ყბის დაღეწვაში შევქველავა, ჯიბის შეთხლევა მოუწევს.

ყველაფერი ციხიდან დაიწყო. დაახლოებით ექვსი წლის წინათ, როდესაც “რკინის მაიკი”, გაუპატიურების ბრალდებით, ინდიანის შტატში სასჯელს იხდიდა, ერთი თვალემოუყუწუნე გოგო, სახელად მონიკა ტერნერი, გულში ჩაუვარდა. ფლიტი ტაისონსა და ტერნერს შორის სიყვარულში გადაიზარდა და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, 1997 წლის აპრილში, ბეთესდამში, ურთიერთობა ქორწინებით განამტკიცეს. თუმცა, ტაისონის შემთხვევაში ყველაფერს აქვს დასასრული. ვაშინგტონის, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის პედიატრმა მონიკა ტერნერმა ქორის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა. საქმე აგორდა და სასამართლომდე მივიდა. მოვლენები ამერიკული სცენარით წარიმართა. 2002 წლის იანვარში ტერნერმა, სასამართლოს გზით, ტა-

ისონთან განმორება მოითხოვა, ბუნებრივი, კომპენსაციით. ცოლქმარს შორის დავა-კამათი ერთ წელიწადს გრძელდებოდა. საქმე ტერნერის გამარჯვებით დასრულდა - ან უკვე ყოფილი ცოლი ტაისონისგან 6,5 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცა, ამისთვის მას ლოდინი მოუწევს. თანხის ეს ნაწილი ტაისონს მომავალი შემოსავლებიდან დაეკეთება.



მაიკ ტაისონი

“რკინის მაიკისთვის” კი შემოსავლის უმთავრესი წყარო რინგზე მუშაობის ქნევია. თუ ტაისონმა ორთაბრძოლის ვეზი გაანაცხადა, ტერნერი ვერაფერსაც ვერ მიიღებს, მაგრამ არც ეგერა საქმე. იმ შემთხვევაში, თუ ტაისონი სასამართლოს მიერ დასრულებულ ვალს დროულად არ გა-

დაიხდის, მაშინ მას გაცილებით მეტს - 9 მილიონის გადახდა მოუწევს. სასამართლომ ბევრი სხვა რამეც დაამტკიცა. მართლმსაჯულებების დადგენილებით, კონექტიკუტის შტატში მოკრივეს ჩამოერთვა ორი ბინა. ერთის ღირებულება ფარმინგტონში 4,75 მილიონი დოლარია, მეორისა, პოტომაკში - 4 მილიონი. ტაისონს კი, რომელიც სასამართლოს განწინებას არ ესწრებოდა, ადვოკატის პატრიკ დრაგას პირით შეუთვალეს: ისიც იქმარე, რაც ლას-ვეგასში გაქვსო.

გარდა ამისა, ტერნერს ტაისონთან თანაცხოვრებისას შექმნილი შვილების - ექვსი წლის რეინასა და ხუთი წლის ამირის მეურვეობის უფლებაც მიენიჭა.

რაც შეეხება მოკრივის პირველ ცოლს, მსახიობ რობინ გივესს, მათმა ქორწინებამ სულ ერთ წელიწადს გასტანა და 1989 წელს გაშორდნენ კიდევ.

ახლა, როცა ტაისონს ერთწლიანი სასამართლოს დავა-კამათის შედეგ ხელ-ფეხი გაეხსნა, მთელი ყურადღება მომავალი პაექრობისკენ აქვს გადატანილი. მას შემდეგ, რაც “რკინის მაიკი” ლენოქს ლუისთან დამარცხდა, იგი რინგზე პირველად გადის. 22 თებერვალს ტაისონი კლიფორდ ეტენს დაუპირისპირდება.



1958 წლის 24 მაისი, გვიანდელი საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრები გვიანდელი ჩასვლის სტადიონის პაროპორტში.

პოპ-მუსიკა

"ბითლზის" დაკარგული აუდიოფირები ივრის



ჰოლანდიაში 70-იანებში "ბითლზის" გამოუქვეყნებელი ალბომის Get Back-ის მთავარი ჩანაწერები აღმოაჩინეს. პოლიციამ ის მუსიკალური მეკობრეების ბინაში იპოვა...

და სხვადასხვა კომპოზიციის ფრაგმენტები იყო ჩანაწერი. რამდენიმე მათგანი მართალია, მოგვიანებით გამოჩნდა ბითლზების კერძო კოლექციებში, მაგრამ არცერთი მათგანი არ იყო ოფიციალური გზით ჩანაწერილი...

საქართველოში მოხვედრილი სახალხო ფენა ზრდიანულ პოპზე ცეკვას

თომას ჰაზარაძე

ძველი ახალი წლის ღამეს "აჭარა მიუზიკ ჰოლმი" თბილისელები სწორედ იმ მუსიკაზე გახურდნენ, რომელიც ნიუ-იორკის, გლაზგოსა თუ პარიზის ცნობილ კლუბებში სრულდებოდა...

იხილეთ სახალხო ფენის სიახლოვე და გეგმილ პროექტს და თბილისელები ახალ საკულტო უსტოეტიკას ახიარა. კიდევ ერთხელ გადაგვადიოთ თვალი გასულ ორ კვირას: ამ პერიოდში თბილისის უსტოეტიკაში: ქერონ უილერი, ბრიტანული ჯგუფები: "აისბერგ სლიმი", ფენი ენდ სმოლი...



ცეკვა გალიაში



მიუზიკ ჰოლის ბარში

რე პრემიუმ ჯგუფებისა და თანამშრომლებს. მავალითად, ცნობილ "ისტერი პრემიუმებისა". კლუბის მოთხოვნა მხოლოდ ერთია: უნდა შესრულდეს ცოცხალი მუსიკა. დაგეგმილი რეკლამის ფესტივალ "ეპიკის" და "ვეროუზი" (ეცხლად მუსიკის ჩამოსვლა)...

თვის მასტერ-კლასებს გამართავს. მოსალოდნელია ცნობილ ჯგუფების Superman Lovers-ისა და H-Foundation-ის ჩამოსვლაც. ბოლის კლუბის პუბლიკითაც დაინტერესდით. "ორი კვირის განმავლობაში აქ უკვე რეგულარულად დადიო 20-35 წლამდე ახალგაზრდები. ისინი, ძირითადად, მენეჯერები ან უცხოური ოციების თანამშრომლები არიან და საფართოლო მომავალ საშუალო ფენას წარმოადგენენ", - ამბობს სერგი.

U2 - ექსპოზიციის ბიკრები



ცნობილი ირლანდიელებისადმი მიძღვნილი გამოფენა კლივლენდის როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში 8 თებერვალს გაიხსნება. გამოფენა სახელწოდებით: "სიყვარულის სახელით: U2-ს ორი დეკადი" სექტემბრამდე გაგრძელდება და მასში წარმოდგენილი იქნება უამრავი ნივთი, რომლებიც დაკავშირებულია ამ ჯგუფთან. ჯგუფის ფანებს საშუალება ექნებათ მუზეუმში რამდენიმე თვის განმავლობაში იხილონ ტანსაცმელი, რითაც მუსიკოსები გამოიდიდნენ კონცერტებზე და მონაწილეობას

იღებდნენ კლივლენდი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში; მუსიკალური ინსტრუმენტები, ბონის ხელნაწერები U2-ს სიმღერის ტექსტებით, ჯგუფის სასცენო დეკორაციები და ა.შ. U2-ს გიტარისტის ეჯის თქმით, ეს გამოფენა ჯგუფისა და დარბაზის ხანგრძლივი მეგობრობის ნაწილია. გამოფენა მუზეუმის სამ საერთოლს დაიკავებს. ექსპოზიციის საზეიმო გახსნაზე ელიან ბევრ საპატიო სტუმარს. იქნებთან თუ არა მათ შორის თავად ჯგუფის წევრები, ჯერ-ჯერობით არაა ცნობილი.

მუსიკოსს პადოფილიის ადანაშაულება

ბრიტანელი სამართალდამცავების მიერ პადოფილის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეც-ოპერაციაში პოპულარული როკ-ჯგუფის The Who-ს გიტარისტი პიტ ტაუნშენდიც მოპყვა. ლონდონის პოლიციამ ოპერაციის ფარგლებში 1300 ადამიანი დააკავა. პოლიციამ ტაუნშენდის ბინაზე ჩხრეკა ჩატარა და კომპიუტერში საბავშვო პორნოგრაფია აღმოუჩინა. ტაუნშენდი არ უარყოფს, რომ ინფორმაცია თავად გადმოქაჩა ინტერნეტისადმი. რადგან კვლევისათვის სჭირდებოდა. "გაოგნებელი ვარაუდებია ადვილად შეიძლება ყოველგვარი უზამსომის ნახვა ინტერნეტში - ამბობს ცნობილი მუსიკოსი, რომელსაც ცოლი და სამი შვილი ჰყავს. თუმცა ლონდონელი სამარ-

თალდამცავები იმასაც კი ეჭვობენ, რომ ტაუნშენდი თავად იღებდა და ავრცელებდა ბავშვების პორნოფილმებს. გამოძიება გრძელდება, გიტარისტი თავდებით გამოუშვეს და იანგრიის ბოლოს ისე მოუწევს პოლიციში დაკითხვაზე მისვლა. შეგახსენებთ, რომ The Who-ს ძველი შემადგენლობიდან ამჟამად მხოლოდ ტაუნშენდი და ვოკალისტი როჯერ დალტონი შემორჩნენ. პას-გიტარისტი ჯონ ენტიტიტიტი შარშან ლას ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში კოკაინის მიღების შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა, ხოლო დასარტყმელ საკრავებზე შემსრულებელი, კეიტ მუნი - 1978 წელს, ნარკოტიკების ქაბი დაიხსნა.

მხვრიდობით, სულელო ქართმინანებო!

ჩვენს რეალობაში ქერთმინანი ქალობნები უკვე აზარ ქარგელობენ ქარაფუტა ქალების იმიჯით. მათ ძალაუფლებაც აქვთ, დამოუკიდებლობაც არიან და ქტიანებიც. ამ თეზისს ბრიტანული ხელოვნების კრიტიკოსი ჯონან პიტმანი ავრცობს თავის ახალ ნიგნში, რომელიც მარტში გამოვა და რომელსაც, როგორც თავიანთი სიდარბასისლის საბუთს, ბრიტანული ქერა მანდლიონები სულმოუთქმულად ელიან. პიტმანი ნლების განმავლობაში სწავლობდა ქერთმინანთა ქცევას - აფროდიტედიან რენესანსამდეც კი, მაშინ, როდესაც ქალები თმის გასალიაველად ოქროს ფითილს, ცხენის მარდასა და ათასგვარ სხვა მცენარეს იყენებდნენ.

პიტმანის აზრით, წარსულს ჩაბარდა 50-იანი წლების სოციალური ფასეულობები, რომელთა მიხედვითაც ქერთმინანი ქალობნები მხოლოდ სექს-სიმბოლოდ აღიარებდნენ და აინუნშიც არ ავდებდნენ მის გონებრივ მონაცემებს.

21-ე საუკუნეში ქერა ქალი "სულელი თოჯინის" იმიჯისგან მძლავრმა ფემინისტურმა მიმდინარებობა იხსნა. ქალის სტატუსისადმი განსხვავებული მიდგომა, მისი დამოუკიდებლობა, რომელიც ფარვლებს გართ - შავსაც და ქერა ქალსაც დღეს სწორედ ამ გადასახედებიდან ავასებენ.

ასეთ ფემინისტურ ფონზე პიტმანი თავისი ნიგნის მთავარ თეზისს ორი ცნობილი ქერთმინანი მანდილოსნის - მარგარეტ ტიტიერისა და პრინცესა დაიანას მავალითზე განიხილავს. პიტმანის მტკიცებით, სწორედ ქერა თმა ანიჭებდა "რკინის ლედის" იმ სერიოზულსა და ქედმაღლურ იერს, რომელიც ბევრ მამაკაც პოლიტიკოსს აფრთხობდა. რაც უფრო ქერა იყო ტიტიერის თმა, მით უფრო დიდი ძალაუფლებით გამოიჩნებოდა ის.

მწერალი იგივეს ამტკიცებს პრინცესა დაიანაზეც: დაიანა ბავშვობიდან ქერა ყოფილა, მაგრამ ჩარლზზე დაქორწინების შემდეგ თმას რატობლაც იბუქებდა. ამიტომ პიტმანისთვის გასაკვირი არც არის, რომ იმ პერიოდში პრინცესას მრავალი პრობლემის გადალახვა უხდებოდა. ნათელი ხანა კი მის ცხოვრებაში სწორედ ბუნებრივი ქერა თმის დაბრუნებისა და პრინც ჩარლზთან გამორების შემდეგ დაიწყო. დაიანა ერთდროულად იყო პრინციების უღამაზესი დედაც და ქტიანი, დარბაისელი დღეიცი. პიტმანი ასევე საუბრობს მანდაზეც, რომლის ალობებიც უფრო დიდი ტირაფით მამის იყიდებოდა, როდესაც უკვე უკანასკნელი მამა ქერად ჰქონდა შეულები.

რაც შეეხება თავად ჯონანს, მას ნიგნის დახეობის იფრა აფრიკის მცხუნებას დაგებადა: რამდენიმე წლის წინ ის კენიაში, მიდისს პროექტზე მუშაობდა და მუზეუმი თმა საოცრად გაუღიადდა. როგორც ავტორი აცხადებს, კენიურები თვალს ვერ ამორებდნენ მის გახეხებულ თავს. თითქმის, სვეროდით, რომ თმა რაღაც მავიურ ძალას ფლობდა.



პრინცესა დაიანა



მადონა

პიტმანისთვის ეს ასეცაა - მისთვის ქერა თმა ყოველგვარი წარმატების გარანტიაა. ამიტომ ის გახეხებულ თმას ორი სადღესასწაულო თარიღისთვის დაიქერავებს - ნიგნის გამოცემისა და

გაოგნების გახსნისთვის. საუბარია გამოფენაზე, რომელიც პიტმანის ინიციატივით ლონდონის ნაციონალურ გალერეაში გაიმართება და, ისეც და ისეც, 20 ბრიტანულ ქერა ქალს მიეძღვნება.

კალიდოსკოპი



"ტიტანიკის" ავტორი ახალ ფილმს იღებს

ცნობილი კინორეჟისორმა, ჯეიმს კამერონმა გადაწყვიტა, დოკუმენტური ფილმი გადაიღოს ესპანეთის სანაპიროსთან ჩაძირული ტანკერის "არესტიის" შესახებ. კამერონმა განაცხადა, რომ სურს, გამოიყენოს თავისი პროფესიის შესაძლებლობები - "საჭიროა, პოლიტიკოსებს მივახვედროთ, რომ ასეთი კატასტროფების თაგნი აცივლად შესაძლებელია, თუ წინ ვახებავდნენ და პასუხისმგებლობის გრძნობას გამოამჟღავნებენ". როგორც კამერონი აცხადებს, კატასტროფის დროს ესპანეთის მთავრობა სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა.

რეკონსტრუქციის ფოტოხელოვანის რანგში

ჰამბურგში ცნობილი რეკონსტრუქციის ენტერპრაიზი ჩე გევარას ფოტონამუშევრებს გამოფენენ. როგორც ჰამბურგის მუზეუმის წარმომადგენლები აცხადებენ, 160 ნამუშევარი სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენს ლეგენდარულ ჩეხ. 1950-იან წლებში, სანამ რეკონსტრუქციის პარიერაზე იზრუნებდა, ჩე გევარა სწავლისგან თავისუფალ დროს ფოტოკამერით სანაპიროსა და მეტროპოლისს დაიფოტოგრაფებდა. 1995 წელს იპოვეს ჰავანაში და ამჟერად პირველად გამოიფინება გერმანიაში.


აბორიგენთა კვალდაკვალ

მელბურნი მულტიკულტურული ქალაქია. ავსტრალიური მეტროპოლია 140 სხვადასხვა ეროვნების ადამიანის სამშობლო გახდა. მხოლოდ თავდაპირველი მოსახლეობის, ავსტრალიის უძველესი მკვედრების კვალი იყო დაკარგული. ბოლო დროს ეს შეიცვალა - დღეს მელბურნი აბორიგენთა კულტურას და ტრადიციებსაც გავაცნობთ. იორტა-იორტა ტომის შვილი, 32 წლის იასონ ტამირე, ცერან ბალახზე პანანინა ცეცხლს ათბებს, ფოილაში ეკვლიპატის თესლებს, ავტრალიური ხეებისა და ბუნებრივ ყვავილებს ყრის. სურნელოვანი კვამლი გამიცხელებსა და სტუმრებს "განწმენდს": კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! საკვების ცერემონიით, რომელიც მისალმების რიტუალის განუყოფელი ნაწილია, იწყება "აბორიგენთა გზა", მათი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის სანახაუად ჩაფიქრებელი მოგზაურობა მელბურნის ბოტანიკურ ბაღში - 90 ათასწლიან ისტორიას 120 წუთი ეძობა.

სტუმრად საკუთარ სახლში

ტრეტიკოვის გაღერება რუსული ავანგარდის ზედი საკმაოდ სეგდინია: ჯერ სადღაც იყო მიყუფული, საცავებში, რომ არავის ენახა, ახლა კი, მსოფლიოს მუზეუმებსა და გალერეებში ხანგრძლივი და გალერეის ბიუჯეტისათვის ფრიად სახიერი მოგზაურობების შემდეგ, შავლისა და კანდისის შედეგები მუდმივმოქმედ ექსპოზიციას მხოლოდ მარტამდე დაუბრუნდა. გაზაფხულის დადგომისთანავე ტილოები გასტროლეტს განავრძობს. როგორც ჩანს, ნახატებსაც ის მოუვლიდა, რაც ოდესაც მათმა ავტორებმა გამოიარეს: მიუხედავად იმისა, რომ "რუსული პერიოდი" მათ შემოქმედებაში ლამის საუკეთესოდ ითვლება, საბჭოეთში თავისუფალი ხელოვნების მეტისმეტად უდიდრად ექცეოდნენ და კანდისკმა და შავლის სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაატარეს ცხოვრების უდიდესი ნაწილი.

სკორსაზა ორის წინააღმდეგია



მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კინორეჟისორმა, მარტინ სკორსეზემ თავისი შეხედულებები გამოთქვა ერაყთან შესაძლო კონფლიქტის შესახებ. ლონდონში გამართული ახალი ფილმის "ნიუ-იორკის ბანდების" პრემიერაზე სკორსეზემ განაცხადა, - "იმედს ვიტოვებ, რომ კონფლიქტი დიპლომატიისა და სადაზვერუო სამსახურის მეშვეობით მოგვარდება და სრულიად უდანაშაულო ადამიანები არ დაიღუპებიან". სურათების - "ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი", "ტაქსისტი", "ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება" ავტორი ერაყის გარემო შექმნილ დაძაბულობას

ეკონომიკური ფაქტორებით ხსნის, კერძოდ კი - ნავთობთან დაკავშირებული პრობლემით. მანამდე მსგავსი შეხედულებები გამოთქვას - ბარბრა სტრაიზანდმა, სოუზან სარანდონმა და შონ პენმა. თუმცა, კინემატოგრაფისტებიდან ამ პოზიციას ყველა არ ემხრობა. გასულ წელს სპილბერგმა და ტომ კრუზმა ოფიციალურად დაუჭირეს მხარი ბუმის პოლიტიკას, რომელიც ერაყის ლიდერის ჩამოგდებას გეგმავს. "სადამი მთელი კაცობრიობის წინაშე დამნაშავეა, პირველ რიგში კი - საკუთარი ხალხის წინაშე," - აცხადებდა ტომ კრუზი.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

საგაზეთო ქაღალდი ფანდაკლებით
შ.პ.ს მ-ჰი-სი ბოთაგოზბო
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან
საუბრაო ფანდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580\$-მდე
ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

სკანდინავიური კროსვორდი

Scandinavian crossword puzzle grid with letters and numbers.

საშობალო მოწვევა...
ამის სერვისების მიწოდების სააგენტო (USAID) შერეული დანიების სააგენტო...
ინფორმაციის დაკავშირების ცენტრი...
საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადება

DERTOUR-ი ბოთაგოზბო
DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიუროს გეგმავს...
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
ტელ: 91-24-24; ტელ/ფაქსი: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

ნამალი "სალხინო" ქართული ფლორის სამოცრება
თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტაიტს, ქალური და მარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს...
მიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგვსნებათ.
"სალხინო" ანესტიზირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

გააზივებათ სასტუმრო ბუდუარი
გააზივებათ სასტუმრო ბუდუარი
გააზივებათ სასტუმრო ბუდუარი
გააზივებათ სასტუმრო ბუდუარი